„დამტკიცებულია"
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
2021 წლის 27 დეკემბერი № 01-03/36 ბრძანებით

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის გადეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზრვრის წესი" (შემდგომი „წესი" ადგენს მიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „ტბელის უნივერსიტეტი") სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის რეგულაციას.

1.2. წინამდებარე „წესი" არეგულირებს „ტბელის უნივერსიტეტში" სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის პროცესს, რომელზეც დაფუძნებულია „ტბელის უნივერსიტეტის" რესურსებზე, სათანადო ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებზე.

მუხლი 2. სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის კრიტერიუმები

2.1. სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის კრიტერიუმებია:

ა) ადამიანური რესურსი;

ბ) მატერიალური რესურსი;

გ) სასწავლო საშუალებები;

დ) ფინანსური რესურსი.

მუხლი 3. სტუდენტთა კონტიგენტისა განსაზღვრის სამიზე ნიშნულები

3.1. სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები:

3.1.1. ადამიანური რესურსი

- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის და მათი თანაფარდობა არ აღემატება 1/10_ს (1 პერსონალი 15 სტუდენტზე) ;

- მოწვეული პერსონალის თანაფარდობა აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან მიმართებით არ აღემატება 1/2 ;
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დენადობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და არ აღემატება 10%-ს;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და მაგისტრანტის თანაფარდობა არ აღემატება 1/5-ს;

3.1.2. მატერიალური და სასწავლო რესურსი

- „ტბელის უნივერსიტეტის“ მატერიალური რესურსი და მისი შესაბამისობა სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან. კერძოდ სასწავლო და დამხმარე ფართების მოცულობა, სასწავლო აუდიტორიების რაოდენობა და მოცულობა, სასწავლო ინვენტარის რაოდენობა, სილაბუსით განსაზღვრული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა, სივრცე სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის, კომპიუტერების და სხვა სახის ტექნიკური საშუალებების არსებობა, მათი რაოდენობა და სხვა უნდა უზრუნველყოფდეს სილაბუსით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.
- სასწავლო რესურსი უნდა იძლეოდეს სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მომსახურების საშუალებას. ეს გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსების ფლობას „ტბელის უნივერსიტეტის“ მფლობელობაში ან/და შესაბამისი მემორანდუმების, ხელშეკრულებების საფუძველზე.
- სასწავლო რესურსები, რაც მოიცავს საბიბლიოთეკო რესურსებს, როგორც ბეჭდვითი ისე ელექტრონული სახით უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტთა კმაყოფილებას. ხელმისაწვდომი უნდა იყოს სილაბუსით გათვალისწინებული სამეცნიერო ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილი უნდა იყოს ინტერნეტშ ჩართული კომპიუტერებით, ბეჭდვისა და ასლის გადაღების ტექნიკური საშუალებებით.

3.1.3. ფინანსური რესურსი

- „ტბელის უნივერსიტეტის“ ფინანსური რესურსების ფორმირების წყაროებია: საქართველოს საპატრიარქოსგან მიღებული დაფინანსება, სასწავლო და სასწავლო სამაგისტრო გრანტები, სტუდენტების მიერ გადახდილი თანხა (მხოლოდ დავალიანების ან სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში), საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3.2. სტუდენთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის რაოდენობა ყოველწლიურად განისაზღვრება საგანმანათლებლო პოგრამების მიხედვით;

3.3. ტბელის უნივერსიტეტის“ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთას საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2000-ს, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს.

მუხლი 4. პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრა

4.1. პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის ძირითადი დასაყრდენია A, B და C ტიპის გარემოთა შესაბამისობა პროფესიული მოდულური პროგრამის სტუდენტთა რაოდენობასთან, რაც განსაზღვრულია კონკრეტული პროფესიული მოდულური პროგრამის ავტორიზაციის დასკვნის შესაბამისად.

მუხლი 5. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

5.1. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით